

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნები	2023	2022	2021
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფულადი სახსრები		1,161,582	1,008,916	744,569
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	126,457	185,346	88,782
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	9	1,346,412	1,400,350	1,029,072
სხვა მოკლევადიანი აქტივები	10	6,459	2,800	334
		2,640,910	2,597,412	1,862,757
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	11	462,154	314,885	303,233
არამატერიალური აქტივები	12	1,765	1,961	2,156
ბიოლოგიური აქტივები	13	2,639	2,933	3,226
		466,558	319,778	308,615
სულ აქტივები		3,107,468	2,917,190	2,171,372
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	14	88,371	52,531	49,829
სავაჭრო ვალდებულებები		385,806	497,378	496,605
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			226	287
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება			14,370	21,845
სხვა ვალდებულებები	15	15,226	247,200	43,980
სულ ვალდებულებები		489,403	811,706	612,546
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	16	543	543	543
გაუნაწილებელი მოგება		2,617,522	2,104,941	1,558,284
		2,618,065	2,105,484	1,558,827
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		3,107,468	2,917,190	2,171,373

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 1 აპრილი



მირკო ლაშვაშვილი
დირექტორი



ნატო გელაშვილი
მთავარი ბუღალტერი

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

	შენიშვნა	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ამონაგები	3	2,785,461	3,195,555
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება		(1,544,810)	(2,173,101)
საერთო მოგება		1,240,651	1,022,454
სხვა შემოსავალი	4	128,915	429,108
დასაქმებულთა ანაზღაურება		(507,402)	(456,964)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(34,280)	(30,588)
იჯარის ხარჯი		(124,526)	(134,342)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	5	(180,861)	(161,035)
სხვა ხარჯები	6	(9,481)	(106,555)
მოგება დაბეგვრამდე		513,016	562,078
მოგების გადასახადის ხარჯი	7	(435)	(4,894)
მიმდინარე წლის მოგება		512,581	557,183
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		2,104,941	1,558,284
გაცემული დივიდენდი		0	(10,526)
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		2,617,522	2,104,941

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება


საანგარიშო წლისთვის რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	543	2,104,941	2,105,484
წლის შედეგი		506,141	506,141
გადახდილი მოგების გადასახადი	(435)		(435)
2023 წლის 31 დეკემბერი		2,611,082	2,611,190

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 1 აპრილი



მირკო ლაშვაშვილი
დირექტორი



ნატო გელაშვილი
მთავარი ბუღალტერი

**სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული საანგარიშო წლისთვის**

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება CHEMICALS COATING TRADING (შემდგომში "კომპანია") რეგისტრირებულია 2012 წელს საქართველოში მოქმედი რეგულაციების მიხედვით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო კოდით: 406061416; კომპანიის იურიდიული მისამართია ქ. რუსთავი, მაზნაშვილის ქუჩა 2.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ლაქ-საღებავების იმპორტი, წარმოება და რეალიზაცია. კომპანიის 100 % - ანი წილის მფლობელი არის მირკო ლანფრანკო მილანი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუჯოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია კომპანიის განვითარების გეგმის შესაბამისად, შემდგომი განვითარების გეგმა ითვალისწინებს, რომ არსებული რესურსების პირობებში კომპანიას უნარი აქვს უწყვეტად განახორციელოს საოპერაციო საქმიანობა მომავალშიც.

საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.


არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც შეადგენს 15 წელს.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 1 აპრილი



მირკო ლანფრანკო მილანი
დირექტორი



ნატო გელაშვილი
მთავარი ბუღალტერი

ბიოლოგიური აქტივობა

ბიოლოგიურ აქტივს წარმოადგენს კომპანიის უსაფრთხოებისათვის შემენილი ძალები, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. მასზე გაწეული ხარჯები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ხარჯებად და ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება იანგარიშება საშუალო შეწონილი ღირებულებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებს. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყენებელივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებულ სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

3. ამონაგები

	2023წ.	2022წ.
საქონლის რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე	1,637,204	1,881,219
ექსპორტი	1,148,257	1,314,336
	2,785,461	3,195,555

4. სხვა შემოსავალი


სხვა შემოსავალი მოიცავს კურსთაშორის სხვაობით მიღებულ შემოსავლებსა და სხვა არასაოპერაციო შემოსავლებს.

	2023წ.	2022წ.
უკან დაბრუნებული საქონელი	56,438	215,835
საკურსო სხვაობა	17,030	
ინვენტარიზაციის შედაგად გამოვლენილი ზედმეტობა	1,105	93
უსასყიდლოდ მიღებული საქონელი	16,146	11,053
ზარალის ანაზღაურება	17,555	14,628
ვალდებულებების გადაფასებით მიღებული შემოსავალი	20,641	187,500
	128,915	429,108

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 1 აპრილი



მირკო ლაშვრანკო მილანი
დირექტორი



ნატო გელაშვილი
მთავარი ბუღალტერი

5. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2023წ.	2022წ.
ბიოლოგიური აქტივზე გაწეული ხარჯი	3,957	3,165
დაზღვევა	7,255	5,365
კომუნალური ხარჯები	33,315	22,863
მიწოდების ხარჯი	1,739	2,068
საოფისე ხარჯი	7,535	5,069
სამეურნეო ხარჯი	8,575	5,372
საწარმოო ხარჯი	1,000	1,016
საწვავის ხარჯი	11,826	16,235
სხვადასხვა მომსახურების ხარჯი	31,345	31,124
ძირითადი საშუალებების და სხვადასხვა ინვენტარის რემონტი	9,515	9,648
სარეკლამო ხარჯი	1,100	3,616
ექსპორტის ხარჯი	12,074	30,519
სოციალური დანარიცხები	9,236	
ქონების გადასახადის ხარჯი	3,525	3,839
მივლინების ხარჯი	17,490	10,696
საწყობის ხარჯი	2,269	5,366
საფოსტო გზავნილის ხარჯი	749	324
თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე გაწეული ხარჯი	-	100
ბანკის საკომისიო	3,156	4,111
IT მომსახურება	13,579	
ვაკანსიის განთავსების ხარჯი	856	539
წარმომადგენლობითი ხარჯი	765	
	180,861	161,035

6. სხვა ხარჯები


სხვა ხარჯები მოიცავს კურსთაშორის სხვაობით წარმოქმნილ ზარალს და სხვა არასაოპერაციო ხარჯებს.

	2023წ.	2022წ.
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	-	92,226
დოკუმენტურად დაუდასტურებელი ხარჯი	1,440	
ჯარიმები და საურავები	106	257
ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი დანაკლისი	-	11,582
შუამავალი ბანკის საკომისიო	-	740
ზარალის ანაზღაურება	-	195
უსასყიდლო მიწოდება	1,052	1,555
არასაოპერაციო ხარჯი	6,883	-
	9,481	106,555

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 1 აპრილი



მირკო ლაშვაშვილი
დირექტორი



ნათი გელაშვილი
მთავარი ბუღალტერი

7. მოგების გადასახადის ხარჯი

	2023წ.	2022წ.
მიმდინარე გადასახდი	435	4,894

ესტონური მოდელის მიხედვით მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია, განაწილებული მოგება, რომელიც საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენის სახით, ფულადი ან არაფულადი ფორმით ნაწილდება.

განაწილებული მოგება იყოფა 4 ნაწილად:

1. განაწილებული მოგება.
 2. გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის.
 3. უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა.
 4. საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.
- ანგარიშგებაში მოცემული მოგების გადასახადის ხარჯი მიეკუთვნება მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებული ოპერაციებიდან წარმოქმნილ მოგების გადასახადის ხარჯს.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023წ.	2022წ.
მოთხოვნები მიწოდებდან და მომსახურებიდან	116,512	177,261
გადახდილი ავანსები	6,780	4,919
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	3,166	3,166
	126,457	185,346


9. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	2023წ.	2022წ.
გასაყიდად შეძენილი და წარმოებული საქონელი	554,949	599,377
ნედლეული და მასალები	722,862	663,589
სარეკლამო საქონელი	26,027	26,101
სამეურნეო და სხვა მარაგები	42,574	111,283
	1,346,412	1,400,350

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 1 აპრილი



მირკო ლაშვაშვილი
დირექტორი



ნატო გელაშვილი
მთავარი ბუღალტერი

10. სხვა მოკლევადიანი აქტივები

სხვა მოკლევადიან აქტივებში მოცემულია ბიუჯეტში ავანსად გადახდილი 6459 ლარი.


11. ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარები	კომპიუტერი ტექნიკა და მოწყობი ლობები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტი საშუალებები	ნაგებობები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
თვითღირებულება							
1 იანვარი, 2023 წ.	167,515	63,371	69,217	51,712	5,649	89,933	447,397
შემოსვლა	103,864	4,557	38,388	28,387	12,416		187,612
გასვლა				(15,320)			(15,320)
31 დეკემბერი, 2023წ.	271,379	67,928	107,605	64,779	18,064	89,933	619,689
დაგროვილი ცვეთა							
1 იანვარი, 2023 წ.	37,107	27,234	26,898	12,611	58	28,604	132,512
წლიური ცვეთა	14,841	4,037	7,694	2,664	627	3,928	33,790
გამოკლებული გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა				(8,767)			
31 დეკემბერი, 2023წ.	51,948	31,271	34,592	6,508	685	32,532	157,536
საბალანსო ღირებულება	219,431	36,658	73,013	58,271	17,379	57,401	462,154

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 1 აპრილი



მირკო ლაშვანიკო მილანი
დირექტორი



ნატო გელაშვილი
მთავარი ბუღალტერი

12. არამატერიალური აქტივები

საბუღალტრო ბროგრამა

თვითღირებულება

1 იანვარი, 2023 წ.	2,940
შემოსვლა	()
გასვლა	()
31 დეკემბერი, 2023წ.	<u><u>2,940</u></u>

დაგროვილი ცვეთა

1 იანვარი, 2023 წ.	979
წლიური ამორტიზაცია	196
31 დეკემბერი, 2023წ.	<u><u>1,175</u></u>

საბალანსო ღირებულება	<u><u>1,765</u></u>
----------------------	---------------------

13. ბილოგიური აქტივი

ძაღლები

თვითღირებულება

1 იანვარი, 2023 წ.	4,400
შემოსვლა	()
გასვლა	()
31 დეკემბერი, 2023წ.	<u><u>4,400</u></u>

დაგროვილი ცვეთა

1 იანვარი, 2023 წ.	1,467
წლიური ამორტიზაცია	294
31 დეკემბერი, 2023წ.	<u><u>1,761</u></u>

საბალანსო ღირებულება	<u><u>2,639</u></u>
----------------------	---------------------

14. იჯარა

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აქვს აღებული საოფისე და სასაწყობო შენობები და მიმდებარე ტერიტორია. ხელშეკრულება გაფორმებულია 2025 წლის 30 სექტემბრამდე. ამავე ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული გადასახდელების გადახდა.

15. სხვა ვალდებულება

სხვა ვალდებულებებში წარმოდგენილია მიღებული ავანსები

16. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები საწესდებო კაპიტალში შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 1 აპრილი

მირკო ლანფრანკო მილანი
დირექტორი

ნატო გელაშვილი
მთავარი ბუღალტერი

